

სამაგისტრო პროექტი: გულის ქრონიკული უკმარისობის მართვა

პირველადი ჯანდაცვის რგოლში

სოფიკო ომანაშვილი

ეკა მამისიმედაშვილი

ანა ხაბაზი

ჯგუფის ნომერი - 9

*სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ბიზნესის სკოლაში*

პროექტის ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,

თბილისი, (2020)

## აბსტრაქტი

გულ-სისხლძარღვთა დაავადებები დღესდღეობით მნიშვნელოვან პრობლემად რჩება, სწორედ ეს პრობლემაა სიკვდილიანობის გამომწვევი ძირითადი მიზეზი მსოფლიოს მასშტაბითა და მათ შორის საქართველოშიც.

თემის აქტუალობიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ ყურადღება გაგვემახვილებინა ისეთ საკითხზე, როგორცაა გულის ქრონიკული უკმარისობის მართვა პირველადი ჯანდაცვის რგოლში.

კვლევისათვის შევარჩიეთ პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები, სადაც გამოვიკითხეთ ჯამში 15 ექიმი და ადამიანები, რომელთაც უკვე აღენიშნებათ გულ-სისხლძარღვთა დაავადება, ასევე პოტენციური პაციენტები.

ჩვენი კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ის, რომ გაგვეგო - რამდენად სრულფასოვნად ხდება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონე პაციენტებისათვის მომსახურების გაწევა პირველადი ჯანდაცვის რგოლის მხრიდან.

კვლევის შედეგად დავადგინეთ პონტენციური თუ უკვე არსებული პაციენტების აზრი, გამოვიკვლიეთ ის ძირითადი მიზეზები, რაც მათ ხელს უშლით მომსახურების სრულფასოვნად მიღებაში, აქვე მნიშვნელოვანია ექიმების დამოკიდებულება, თუ როგორ ხდება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მართვა პირველადი ჯანდაცვის რგოლში.

კვლევის ფარგლებში შევაფასეთ, თუ რა უნდა გაუმჯობესდეს იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული შესაძლო რისკები, განვიხილეთ სხვადასხვა მიდგომა, როგორც საზღვარგარეთ, ასევე საქართველოში.

კვლევის საფუძველზე, ნაშრომში ჩამოვყალიბეთ რეკომენდაციები იმ ძირითად საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას.

## **Abstract**

Cardiovascular diseases are considered to be a big problem nowadays. This is the problem which causes the increased death rate not only in the world but in Georgia as well.

According to the actuality of the theme we decided to pay more attention to subjects such as: managing the heart failure in the primary health care.

We selected the primary health care facilities, where we interviewed 10 doctors in total, the potential patients and the people who had cardiovascular diseases.

The main aim of our research was to find out how organized and well prepared service, from the side of primary health care, were provided with the patients who had cardiovascular diseases.

According to our research results we assessed the opinions of potential or already existed patients. We studied the main reasons, which prevent them from getting full service. The attitude of the doctors is very important, for example, how they handle cardiovascular diseases in the primary health care.

Throughout the research we evaluated the conditions, which needed improvement, in order to prevent the potential risks. We assessed different approaches, both abroad and in Georgia.

Based on the research, we gave recommendations about the main subjects, which need to be improved.